

კლასიკური ჭიდაობის გულშემატკივართა ყურადღების ცენტრშია თბილისის სპორტის სასახლე, სადაც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის 1961 წლის გუნდური პირველობა.

სურათზე: ქვემოთე წონის მოჭიდავე რ. აბაშიძე (საქართველო) გდებას უკეთებს ლენინგრადელ ა. მოროზოვს.

გუნდური შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მესამე გვერდზე.



გროლენბერგო ყველა ძველსა, შაბრდით!

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გუნდითადი

ტრადიციულ იქცა ყოველი წლის ბოლოს მეგობრული ესტაფეტის ჩატარება, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ერთდღიურს. ერთდღიურად მეგობრობის ესტაფეტა მიღის ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირში 7 ნომბრიდან 12 დეკემბრამდე. 12 დეკემბერს ამ ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარზე ხდება ჩეხი და საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მეგობრული შეხვედრა. განსაკუთრებით დიდი გულითადობის ვითარებაში აღნიშნეს ჩეხი მეგობრებმა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობების ხელმოწერის 18 წლისთავი. ყველგან, სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში

ში მიმდინარეობდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მითინგები, სპორტული შეჯიბრებები, ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილ სპორტსმენთა შეხვედრები ახალგაზრდობასთან. მაგალითად, პრატის ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეებს ესტუმრა სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ევა ბოსაკოვა, რომელიც ბავშვებს ესაუბრა თუ როგორ დაეუფლა სპორტის ამ უძნელეს სახეობას, რომ გოროზოვსკაიას, ურბანოვიჩის, შარაბიძის იშვიათმა ოსტატობამ როგორ მოხიზლა იგი და შეაყვარა ტანვარჯიში.

ჩემი პირველი მასწავლებლები საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალბი იყვნენ, — განაცხადა გამოჩენილმა ჩეხმა ტანმოვარჯიშემ.

ალსანიშნავად

დიდი ანგარიშით

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდი. პირველი გამოსვლა უნგრელებს ჰქონდათ ჩილში ადგილობრივ ნაკრებთან. ჩილელები მინდორზე გამოვიდნენ თითქმის იგივე შემადგენლობით, როგორც საბჭოთა გუნდთან.

მატჩის დასაწყისში უნგრელებს ჰქონდათ ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა. მატჩის შედეგია 5:1 ჩილის ნაკრების სასარგებლოდ.

რესპუბლიკური სემინარზე


საქართველოს პროფსაბჭომ ჩაატარა საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა კვალიფიკაციის ასაშავლებელი სემინარი. სემინარზე მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქუთაისის, ხოხუმის, რუსთავისა და თბილისის 94 ხელფასიანმა და საზოგადოებრივმა ინსტრუქტორმა. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, გაიცნენ თბილისის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას, დათვლიერეს სპორტული ბაზები, დაესწრნენ შეჯიბრებებს.

სემინარის ნორმალურ ჩატარებას ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექციამ, რომელიც დაეხმარა სემინარის მონაწილეებს პროფესორ-მასწავლებლებითა და სპორტული ბაზებით. სემინარმა სათანადო ნაყოფი გამოიღო. ცოდნაშეძენილი ინსტრუქტორები დაუბრუნდნენ თავიანთ კოლექტივებს, რათა კიდევ უფრო აქტიურად ემსახურნენ მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს.

ნ. ნაშივიძისილი

ი. კუპერმანა დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული

მეტროპოლიტენ ბარტია ასუჯრიან შაში მსოფლიოს პირველობაზე მატჩ-რევანში მსოფლიოს ჩემპიონ შეჩეოლევსა და ექს-ჩემპიონს კუპერმანს შორის ყაიმით დამთავრდა. კუპერმანმა 19 შესაძლებლიდან დააგროვა 10,5 ქულა და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. კუპერმანმა მატჩის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ მას შეეგოლევის სახით ძალზე ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომელიც ახლო მომავალში ალბათ კვლავ დაიბრუნებს კიდევ ჩემპიონის ტიტულს.



საბჭოთა კავშირში სტუმრადმყოფმა შევდმა ჰოკეისტებმა, რომლებიც სპორტის ამ სახეობის აღიარებულ ოსტატებს წარმოადგენენ, ორი ამხანაგური მატჩი ჩატარეს მოსკოვის კლუბების ნაკრებთან. პირველ მატჩში სტუმრებმა დამარცხებულეობა დატოვეს მოედანი — 1:2, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში შეძლეს რევანშის აღება — 5:2. სურათზე: ბრძოლა შაიბისათვის. ფოტო: ვ. ტუტოვისა

ბელგრაძის რინგზე

იუგოსლავიაში სტუმრადმყოფმა უკრაინელმა მოკრივეებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს მასპინძლებთან. უკრაინის გუნდს პირველი ქულა მოუტანა მ. მუხამ, რომელმაც ტექნიკური უპირატესობით მოუგო ა. დაპიანოვიჩს, ოლაჩისა და უკრაინელი ს. ტრესტინის ბრძოლა პირველ რაუნდშივე იქნა შეწყვეტილი საბჭოთა სპორტსმენის აშკარა უპირატესობის გამო. იუგოსლაველმა ვუინჩმა ქულებით დაამარცხა ვ. ბენდალოვსკი. მომდევნო წონაში ევროპის პირველობის პრიზიორმა რ. ბენედეკმა უკრაინელ ვ.

რომისზე გამარჯვებით მეორე ქულა მოუტანა თავის გუნდს. იუგოსლაველმა წინსვლა შეაჩერა ი. დეტარიევმა, რომელმაც ქულებით დაამარცხა ლ. მეხოვიჩი. მეორე ქვესაშუალო წონაში უკრაინელებს მონაწილე არ ჰყავდათ და იუგოსლაველებმა უბრძოლველად მიიღეს საჭირო ქულა. ამის შემდეგ ემკამა (იუგოსლავია) დაამარცხა ვ. ბოგუსლავსკი და წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მომდევნო ორ წონაში ა. ნალი-ვეევმა და ბ. ლილააევმა შესაბამისად დაამარცხეს დროუენიჩი და სრეტენოვიჩი. მძიმე წონის მოკრივეების ა. ნურ-მანანოვისა (უკრაინა) და ლ. დამი-ნოვიჩის შეხვედრა მასპინძლის გამარჯვებით დამთავრდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშმა ფრე — 5:5.

სრიახს მსოფლიო, რომელიც თავის მიღწევებში ახალ პირობებს ხსნიან სპორტის რომელიმე სახეობაში. მათ რიცხვს ეკუთვნის ამერიკელი ჯ. თუენსი, ჩეხი ე. ზატოპეკი, შვედი ლ. პალსი, საბჭოთა სპორტსმენები ვ. კუცი, ი. ვლასოვი, ვ. ბრუმილი. მათ მიემატა 24 წლის ლენინგრადელი მძლეოსანი ტ. შჩუკანოვა — მსოფლიო რეკორდსმენი ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში.


— მე დარწმუნებული ვარ, — მითხრა ერთელ ტატიანამ, — რომ მომავალ წელს მსოფლიო რეკორდი მაღწევს 6 მეტრსა და 70 სანტიმეტრს, ხოლო შემდეგში ქალები გადალახავენ 7-მეტრიან ზღვარსაც.

შჩელკანოვას რომ ეს ერთი წლის წინათ ეთქვა, მას ფანტაზიორად ჩათვლიდნენ. ახლა კი, როცა ამ სპორტსმენს აქტივში აქვს ნახტომები 6 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე და უფრო მეტიც, სკეპტიკოსებსაც უკრთ დაუქვება. მართალია, ტ. შჩელკანოვას მსოფლიო რეკორდი 6 მეტრსა და 48 სანტიმეტრს უდრის, მაგრამ ეს პირობითი ამბავია. მისი სხვა შესანიშნავი ნახტომები არ იქნა რეგისტრირებული მსოფლიო რეკორდებამდ მხოლოდ ზურგქარის გამო.

ტ. შჩელკანოვამ 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ტექნიკუმი და შევიდა ბონ-ბრუვერის სახელობის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში. აქვე შეამჩნიეს მისი ტალანტი სპორტშიც. ინსტიტუტის მწვრთნელის რჩევით ტატიანამ ვარჯიში დაიწყო ხუთჯიდასა და თარჯბენში და უკვე ერთი წლის შემდეგ სტუდენტ მრავალკიდოსანთა შორის მოიპოვა ლენინგრადის ჩემპიონობა — ეს იყო მისი პირველი სერიოზული წარმატება.

მის შემდეგ ტ. შჩელკანოვა სისტემატურად აუშკობესებდა შედეგებს ხუთჯიდაში, ხოლო თარჯბენში სულ მალე აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგა — 11.1. ამ წარმატების მოუხედავად მან გული ვერ დაუდო 80 მეტრზე თარჯბენს, ვინაიდან ტექნიკაში მოთხოვნილებდა, ხშირად ეცემოდა დისტანციაზე. სწორედ ამ შემთხვევებმა თანდათან აუცრუა გული მის თარჯბენზე და გადაწყვიტა მთლიანად „გადასახლებულიყო“ სიგრძეზე მხტომელთა ზანჯაში.

შჩელკანოვას გამოსვლა ახალ რომში ნამდვილად მოულოდნელი იყო. გავიდა სულ ცოტა ხანი და იგი უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეფულა, ხოლო ზამთარში ლენინგრადში დაამყარა მსოფლიო მიღწევა დახურული შენობებისათვის — გადახტა 6 მეტრსა და 27 სანტიმეტრზე. მიმდინარე სეზონში შჩელკანოვამ არ იცის რა არის დამარცხება ისეთ დიდ შეჯიბრებებშიც კი, როგორცაა სსრ კავშირ-ამერიკის, რსფსრ-გდრ-ს, რსფსრ-ინგლისის მძლეოსანთა მატჩები, შეჯიბრება ძმები ზნამენსკების პრიზზე და



ჩვენს გაზეთს ამოთხავილავს ა. პოჯუპანს ა კოვალევიჩილასა და ა. კაპაბაძის აინფორმაციით საპროტა მძლეოსანი პალსი ა ზნაქანოვა-ს სპორტული ბიოგრაფია

უნივერსიდა. სწორედ ამერიკელებთან გამართულ მატჩში დაამყარა მან თავისი მსოფლიო რეკორდი. ეს მრავალმხრივი სპორტსმენი თითქმის ყველა შეჯიბრებაში გამოდიოდა. სპორტერთა შეჯიბრებებშიც განსაკუთრებით ისახელა თავი მან სოფიაში უნივერსიდაზე, როცა საპი ოქროს მედალი მოიპოვა სიგრძეზე ხტომაში, 100 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში 4x100 მეტრზე.

ხოლო თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მან მეორემ დაამთავრა 100-მეტრიანი დისტანცია და დიდი წვლილი შეიტანა ლენინგრადელთა მიერ ქალთა ესტაფეტაში გამარჯვების საქმეში.

ოქტომბერში თბილისში დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის წესებით თვითვე სპორტსმენს უფლება ჰქონდა მხოლოდ 3 სახეობაში გამოსულიყო, ტატიანამ მაქსიმალურად გამოიყენა ეს შესაძლებლობანი, მაგრამ გარდა ამისა ნებართვა ითხოვა კონკურსგარეშე დაეშვათ ხუთჯიდასა შეჯიბრებაშიც.

მსაჯებმა შეაჯამეს ორდღიანი ბრძოლის შედეგები. აღმოჩნდა, რომ სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენს ხუთჯიდაში მხოლოდ ორმა სპორტსმენმა აჯობა — მსოფლიო რეკორდსმენმა ი. პრესმა და ვეს-რეკორდსმენმა გ. ბისტროვამ. შჩელკანოვას 4.710 ქულა საერთაშორისო კლასის შედეგია.

მრავალკიდში სპორტსმენის წარმატება მის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

ადრე მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში წლობით ძლებდა რეკორდების ცხრილში და უკეთეს შემთხვევაში სულ რაღაც 2-3 სანტიმეტრით მატულობდა. ახლა სხვა დროა. ყოველ შეჯიბრებაზე ლენინგრადელი სპორტსმენისაგან ველით ახალ მსოფლიო მიღწევას. მის წინაა 7-მეტრიანი ზღვარი. შეიძლება ტ. შჩელკანოვა მის ვერ შეწვდეს, სამაგიეროდ, მან „აღმოაჩინა“ გზა ამ მიზნისაკენ.

3. კორობაინიკოვი, „ნოვოსტის“ სააგენტოს კორესპონდენტი.



კომპლექსი № 6

შესრულდეს ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებამდე. ყარგ ამანდში. (ეუდ ამინდში შესრულდეს კომპლექსი № 5).

ჩამოიღო ბანვარჯიში დღის პირველ ნახევარში

I. მოწყობა ერთრიგად. სიარული: 4 ჩვეულებრივი ნაბიჯი, მე-5-6 ნაბიჯზე ზემოკლავი, მე-7-8 ნაბიჯზე ტაში თავზევით 2-ჯერ — 30 წამი.

II. სიარულის განვრცობით და თანდათან აჩქარებით დოაწში გამართული ფეხების წინ გამოტანით რბენაზე გადასვლა — 15-20 წამი, სიარულზე გადასვლა შენელებით, სრულ შეჩერებამდე 20-25 წამი, სუნთქვა თანაბარი, ღრმა.

III. საწყისი მდგომარეობა (ს. მ.) ძირითადი დგომი. თვლა 1-2. წინ მკლავით განმკლავი, ზენები, თითები გაშლილი, გაზნეკა — ღრმა ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ღრმა ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ, ნელი ტემპით.

IV. ს. მ. ძირითადი დგომი. თვლა 1-2. ბუქნი, წინმკლავით

განმკლავი, თითების მოძუქვა 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

V ს. მ. ღუნგანმკლავი, თითები მხრებთან. თვლა 1-2-3. მარცხენს მარცხნივ ცერზე გადაგმა, ზემოკლავი, ორი დრეკადი ზნეკი მარცხნივ. 4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორება 4-6-ჯერ თვითველ მხარეს, საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

VI. სიარული ერთრიგად, თანდათან აჩქარებით დოინჯი და რბენაზე გადასვლა გამართული ფეხების წინ გამოტანით — 10-15 წამი, სიარული შენელებით სრულ შეჩერებამდე — 20-25 წამი, სუნთქვა თანაბარი, ღრმა.

VII. ს. მ. ზელები თავზე, თითები გადახართული. თვლა 1-2, ზემოკლავი, ნებები ზევით, ცერებზე აწევა, გაზნეკა-ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ, ნელი ტემპით.

VIII. ს. მ. ფეხშლით დგომი, მხრებზე განვირად ზემოკლავი, თვლა 1-2. ორი დრეკადი ღრმა წინწნეკი მარცხნივ — ამოსუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ჩასუნთქვა. გამეორება თითველ მხარეს 3-4-ჯერ, საშუალო ტემპით.

IX. ს. მ. ძირითადი დგომი, თითები მომუქული, თვლა 1. მარცხენის უკუფეხი, წინმკლავი,

ტაში. 2-3. მარცხენის განფეხი, განმკლავი, თითების მოძუქვა და გაშლა ორჯერ. 4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორება თვითველ ფეხით 3-4-ჯერ, საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

ჩამოიღო ბანვარჯიში დღის მეორე ნახევარში

I. სიარული ღუნწინმკლავით, ხელები თავს უკან. თვლა 1-2-3-4. ოთხი ნაბიჯი წინ ცერებზე — ნიდაყვების განწიდა, თავის ოდნავ შილა აწევა, გაზნეკა-ჩასუნთქვა 5-6-7-8. 4 ნაბიჯი წინ მოელ ტერფზე, ნიდაყვები საწყის მდგომარეობაში, თავის ოდნავ დხრა — ამოსუნთქვა. გამეორება 4-6-ჯერ ნელი ტემპით.

II. სიარული ღუნგანმკლავით, თითები გადახართული თავს

უკან. თვლა 1. მარცხენის ნაბიჯი, მარცხნივ ზნეკი. 2 მარჯვენის ნაბიჯი, მარჯვნივ ზნეკი. გამეორება თვითველ მხარეს 8-10-ჯერ საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

III. სიარული დოინჯით. თვლა 1. მარცხენის ნაბიჯი წინ, წინწნეკი. მარჯვენა ხელით მარცხენის მუხლზე შეხება. მარჯვენის ნაბიჯი წინ, მარცხენა ხელით მარჯვენის მუხლზე შეხება. 3-4 ზემართი დოინჯი. გამეორება 6-8-ჯერ საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

IV. სიარული. თვლა 1. ნაბიჯი წინ, ქვეწინმკლავი თითების გადახლართვით. 2-3. ორი ნაბიჯი წინ, მკლავების მოხრით და მკერდზე აცურებით ზემოკლავი, ზენები. 4. ნაბიჯი წინ, მიმკლავი გამეორება 4-6-ჯერ საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი.

განკუთვნილია ჩ ა ი ს მკრეფავეფისათვის

ფიკალაწათი

I. ს. მ. ფეხშლით დგომი მხრებზე განვირად, ნახევრადწინწნეკი, თვლა 1-2. ზემართი, თითები მხრებთან, ნიდაყვები ებჯინება ზენტანს, გაზნეკა-ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა. გამეორება 4-6-ჯერ.

II. ს. მ. ფეხშლით დგომი მხრების სიგანაზე, თვლა 1-2-3. ხელების მტევნების „დაბერტყვით“ დარხევით განმკლავის გადაცილებით ნელი ზემოკლავი. 4. მოდუნებული მკლავების „ჩამოგდება“, გამეორება 6-8-ჯერ, სუნთქვა თანაბარი.

მარჯობანი შეაღვინა ფიკალაწათის საშენიერი-საგვლანი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკმა ა. დოკუბაძემ.

სანარმოო განვარჯიშის დანერგვა უკომის ხალხის გაბვიორკაჟა! — ამბობენ რესპუბლიკის მერაიები

დეს გამოვდინდება

თბილისის 1961 წლის პირველი კლასიკური მარტოვანი

ქართველი და უკრაინა — 3-3 რგვები და არც ერთი დამარცხება, რსფსრ, ბელორუსია, მოსკო-ლენინგრადი, სომეთი და ლი-2-2 გამარჯვება და თითო მარცხება — ასეთი იყო გუნდურ მდგომარეობა ჩემპიონატის მე-10 წრისათვის. ამ წრეში, როგორც ცნობილია, ლენინგრადის მხრიდან დამარცხება განცადეს მხედრის მოჭიდებებმა და დასუსტეს შეჯიბრება. გუნდის შედეგად წრის დანარჩენი შეხვედრები, რომელთა შედეგად სომეთის გუნდის ბედი გაიზარდა ლიტვანებთან, ბალტიისპირელი მოჭიდებები დამარცხდნენ რსფსრ-სთან და 2 წაგების გამო გამოითიშნენ ჩემპიონატისგან.

ამ წრის მატჩებიდან გადაწყვეტილი იყო ორი: — საქართველო-ბელორუსიისა და უკრაინა-მოსკოვის შეხვედრები. ისინი მნიშვნელოვანად განაპირობებდნენ ჩემპიონატის შემდგომი მსვლელობის რიგებს და საპირისპირო ადგილებს ბოლოს. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენი რესპუბლიკის გუნდი გაიმარჯვებდა, მას ეწოდებოდა საუკეთესო შანსები მოწინააღმდეგეებთან შეჯიბრებით.

თავის მხრივ, შარშანდელი ჩემპიონი — ბელორუსიის მოჭიდებები გუნდი — წაგების შემთხვევაში გამოითიშებოდა შეჯიბრების შემდგომი მსვლელობიდან და იძულებული გახდებოდა დაეკმაყოფილებულიყო მე-1 ან მე-2 ადგილით.

საქართველოსა და ბელორუსიის მტკიცე საინტერესო მატჩის წინ დასრულებულია ათასგვარი პროგნოზი, რადგან წინააღმდეგობაში ვარდნილდნენ გამოცდილი სპეციალისტებიც კი, მაგრამ ამ პროგნოზებში იყო ოთხი საერთო პუნქტი: ყველა ერთხმად ვარაუდობდა, რომ ბელორუსიის ორგანიზაციის


რი ჩემპიონი ი. კარაგევი დაამარცხებდა ახალგაზრდა რ. რურუას, რომ ა. ქორიძე მოგებდა შეხვედრას ვ. ფეფელაშვიტთან, ხოლო დ. გვანცელაძე — დ. კოგანთან და რ. აბაშიძე — მ. გავრიშთან.

წინასწარვე ვიტყვით, რომ ამ „უტყუარი“ პროგნოზებიდან ვაპირებდით მხოლოდ ერთს... და აი, დაიწყო ბრძოლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, უჩატეს წონაში ბელორუსებმა წაიღეს 3 ქულა — ი. კორიძისა და ქულაზე მოუგო შეხვედრა ზ. მარიაშვილს. მაგრამ ამ ქულებით დამარცხებისათვისაც საჭირო იყო ბრძოლა წმინდა წაგების თუ მოგების უარესად დადი მნიშვნელობა ენიჭებოდა თანასწორთა ბრძოლაში, როცა სასწორი შეეძლო გადაეწონა თვით ერთ ფუნდს — შეტოქზე თუნდაც ერთადერთი ფუნდით მეტის ჩატარებას.

მატჩი წონაში მდგომარეობა გათანაბრდა. ზ. უგრეხელიძემ სწორი ტექნიკის მეშვეობით, ენერგიული იერიშებით მოიპოვა მეტად საჭირო გამარჯვება ვ. დროზდოვიჩთან. თავიდანვე აქტიურობდა, ატყულებდა შეტოქზე ეფექტურად მხოლოდ დაცვაზე და მ აღებინა კიდევ მას გაფრთხილება. ამ-ს შემდეგ ბელორუსელისათვის აზრი ჰქონდა მხოლოდ შეტევას და სწორედ შეტევის დროს წამოეყო კიდევ ჩვენი მოჭიდებები ფანდზე, რამაც საბოლოოდ განამტკიცა უგრეხელიძის გამარჯვება.

ის, რისი მიღწევაც შეძლო რ. რურუამ ი. კარაგევიდან ორთაბრძოლაში, ჩვეულებრივ სენსაციების სფეროს მიეკუთვნება. მაგრამ, არის სენსაცია დამარცხებული შემთხვევითობაზე და არის — კანონზომიერიც. ყოველ შემთხვევაში, იმ უკანასკნელს ადვილ შესაძლებლობას მოხვდა თვით მთელი ჩემპიონიც, როცა დააპირა ფანდის ჩატარება, იგრძნო მეტად საინტერესო კონტრილეთის საშუაროება და მშინვე თავი დაანება ჩანაფიქრის განხორციელებას. ამის შემდეგ ი. კარაგევისათვის ჩვეული გაბედულება და თვითდარწმუნება



სავსებით გაქრა იგი უკვე ფრთხილობდა და მორიგი ფანდის გაკეთება დააპირა მხოლოდ დაახლოებით მე-7 წუთისათვის და აქ გადაწყდა ორთაბრძოლის ბედობა. რურუამ მისთვის ჩვეული რეაქციით „ჩაკეტა“ ილეთი, ჩაატარა საპირისპირო ფანდი და კარაგევი ნოქბეგში აღმოჩნდა. 2 მომგებიანი ქულა! ამას სულ მალე მოჰყვა ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენის მეორე განხორციელებული ელვისებური გდება და კარაგევი კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაშია. ახალი 3 ქულა! ასეთი დიდი უპირატესობით მოიგო რ. რურუამ ეს შესანიშნავი შეხვედრა, რომელმაც ახალი, დამატებითი შანსები გაუხსნა ჩვენს გუნდს გამარჯვებისაკენ.

ეს შანსები შენარჩუნებულ იქნა ბოლო შეხვედრამდე, მაგრამ ისინი ბევრად შეამცირა ა. ქორიძისა და დ. გვანცელაძის თითო-თითო ქულამ, რომლებიც მათ გაიყვეს ვ. ფეფელაშვიტთან და დ. კოგანთან ორ-მხრივი დამარცხების გამო. შესაძლებელია ამას ზოგიერთმა „ტექნიკა“ უწოდოს, მაგრამ ჩვენ ვც-

ყოფით: სწორედ ერთ-ერთ შეხვედრაში მაინც, ამ ორთაგან, მეცათ ბელორუსებს უკანასკნელი შესაძლებლობა თავიანთენ შეებრუნებისათვის წაგებული ბრძოლის ბედი და მათ გამოიყენეს კიდევ ეს შესაძლებლობა, რამაც ძირითადი „ლეაწლი“ ჩვენი მოჭიდებებს სწორედ ზემოაღნიშნულ „ტექნიკას“ მოუძღვინა.

მას შემდეგ, რაც ფ. გველესიანმა მეტად მძიმე და თანაბარ ბრძოლაში განიცადა დამარცხების სიწვევე ნ. ჩუჩალოვთან, ხოლო რ. აბაშიძემ ბრწყინვალედ მოუგო მ. გავრიშს, ანგარიში გახდა 13:11 და ა. ხაბუშვილისა და ს. ზალუსკის შეხვედრისათვის საქართველოს გუნდმა მატჩის მოგებას რეალური შესაძლებლობა მიიღო: საქმარბი იყო ჩვენს მოჭიდებს გაუძლი ბოლომდე, თუნდაც დამარცხებულიყო მხოლოდ ქულებით, და გუნდური გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა. სამწუხაროდ, მან ეს ვერ შეძლო, წინაუხედავად წამოეყო მეტოქის ფანდზე და ზალუსკიმ 3 წუთში მოიპოვა წინადა გამარჯვება.



დამთავრდა აპრის 1961 წლის პირველობა ფეხბურთში. გათამაშების პირველი წრის შემდეგ დაწინაურდნენ საზღვაო სასწავლებლის ფეხბურთელები, რომლებიც 2 ქულით უსწრებდნენ ავტოსატრანსპორტო კანტარის გუნდს. მეორე წრეში ავტოსატრანსპორტელებმა დაამარცხეს ლიდერი და საბოლოოდ გაინაღდეს კიდევ ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზეა საზღვაო სასწავლებლის კოლექტივი.

15 გუნდი მონაწილეობდა ქალაქის პირველობაზე ფეხბურთში. პირველი ჯგუფის გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა ავტოსატრანსპორტო კანტარის ნაკრები, რომელმაც მოიპოვა კიდევ გარდამავალი თასი. მეორე ჯგუფში წარმატებით იბრძოდნენ სპორტსკოლის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც გაიხსნა ითამაშებენ უფროს ჯგუფში.

აქ მოეწყო ფეხბურთში „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს თასის ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სამოედლო ფაბრიკისა და ბორჯომის წყლების ჩამომსხმელი ფაბრიკის გუნდები. თამაში მოიგეს ბორჯომელმა ფეხბურთელებმა — 4:1, რომლებსაც გაუძლიათ საპატიო თასი.

უძლიერესი გუნდი



მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობამ გველესიანისა და ჩუჩალოვის შეხვედრა გააპროტესტა. მსახურა კოლეგამ გაარჩია იგუ, უხეში შეცდომისათვის მოხსნა შესხვედრის მსაჯები და შეხვედრა შეაფასა ფრედ. ამრიგად, საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა ბელორუსიის ნაკრებთან — 15:13.

მეორე წრის მატჩში მოსკოვის გუნდი არ გამოცხადდა ასპარეზზე უკრაინელებთან საჭილოდ, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება და გამოირჩინა შეჯიბრებიდან.

ამრ გად, ოთხი წრის შემდეგ 4-4 გამარჯვებით წინ იყვნენ საქართველოსი და უკრაინის გუნდები, ხოლო ლენინგრადისა და რსფსრ-ს ჰქონდათ 3-3 გამარჯვება და თითო დამარცხება.

და აი, ბელორუსიის მოჭიდებებთან მიმე ბრძოლა-გადატან ლი ჩვენი გუნდი მესამე წრეში შეხვედა უკრაინის კოლექტივს, რომელსაც ამ დღეს დასვენებამ მოუწია. უკრაინელებმა ანგარიში წაიყვანეს პირველი შეხვედრიდან: 5:1. რამდენიმე 1 წუთისა და 50 წამში დამარცხდა ზ. მირიანაშვილი. შემდეგ ზ. უგრეხელიძისა და ვ. ტროსტანსკის შეხვედრაში, პასუხობის გამო ორივე მოჭიდებს დამარცხება მიესაჯა. მთლიანობაში წმინდად წააგო რ. რურუამ ე. ზუბკოვსკისთან და ანგარიში გახდა 7:3 უკრაინელთა სასარგებლოდ. ეს უპირატესობა გათანაბრებულ იქნა მესამე წრეის კიდაობის შემდეგ.

როცა ქორიძემ მოუგო ა. პოხატოვსკის, გვანცელაძემ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ვ. ივანკოვთან, ხოლო ფ. გველესიანმა გაიმარჯვა რ. ბაგდასაშვიტთან. შემდეგ რ. აბაშიძემ წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი — 14:12, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი წარმატება. მიმე წონაში ე. კლოხინმა ქულებით მოუგო ა. ხაბუშვილს. ანგარიში გათანაბრდა — 15:15. წმინდა მოგებების გამო გამარჯვება მიეკუთვნა უკრაინის გუნდს.

და ბოლოს, არ შეიძლება არ შევნიშნო ჩვენი მსუბუქელების ქვეყნის გამო, რაც ჩირქსა ხტების საქართველოს დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობას. მრავალგვარად შეიძლება გამოხატო შენი პროტესტი, მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეცეს ხულისგური ფორმები.

3. კუხინაშვილი, ხსრ კავშირის დამხმარებელი მწერტენელი, შ. გუბაშვილი.

კრივის ხსრ კავშირის გუნდური პირველობის შემდეგ გაიმართა კრივის ხაკავშირო ფედერაციის პლეუმში, რომელზეც განხილულ იქნა ნაკითხი ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ხაკავშირო მოხსენებით გამოხატულა ფედერაციის თავმჯდომარე მ. ნიკიფოროვიჩისთვის და კამათში მონაწილე ორატორებმა ილაპარაკეს კრივის ხაკავშირო მდგომარეობის შესახებ.

კრივის ხაკავშირო ფედერაციის პლეუმი

რეობაზე, მუშაობის გაუმჯობესების გზებზე, მოკრივეთა ოსტატობის ამაღლების საკითხებზე. პლეუმზე ხაკავშირიანად იქნა გაკრიტიკებული უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ებტონეთის ფედერაციები, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში ძალ-

ზე შეაუსტეს თავიანთი მუშაობა, შემდეგ არჩულ იქნა ხელმძღვანელი ორგანიზები, კრივის ხაკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩულ იქნა ნ. ნიკიფოროვიჩი. ხაკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩულ იქნა ნ. ნიკიფოროვიჩი. ხაკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩულ იქნა ნ. ნიკიფოროვიჩი. ხაკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩულ იქნა ნ. ნიკიფოროვიჩი.

საბრძოლო ზეით — რ. რურუამ ხალიჩიან ავლიქა ხ. კახარიანი (სომხეთი). ქვეყნის — დ. გვანცელაძე (ქვეყნიან) აკეთებს გდებას. ფლოტ მ. ზარგარიანი.




სამხრეთ კოლხის ალმოჩინის 50 წლისთავი

ლომეტრის დაშორებით ემზადება... სამხრეთ კოლხის ალმოჩინის 50 წლისთავი...

ასე და არ იგრძნობა ასეთი უდაბურობა... სამხრეთ კოლხის ალმოჩინის 50 წლისთავი...

ბატონო რუალ! ვეშაპის ყურში უცხო ხომალდი!... სამხრეთ კოლხის ალმოჩინის 50 წლისთავი...




უიგლდონის აგრიკული პონაპუკანსტაგი

როგორც ცნობილია, ინგლისის ე. წ. „ლია ჩემპიონატი“ ჩოგბურთში...

უიგლდონის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებს ახალი მეტოქე გამოუჩნდათ...

ტე ფეოლა, ამასთან ისიც განცხადებდა, რომ აქტიურ მოტივებს...

სურათი: პელე-რედაქტორი ი. უგულავა



16 დეკემბერი 18 ს. — შრანაშორი (ვაუები) — სპა (როსტოვი)-სპიში (თბილისი)...

17 დეკემბერი 18 ს. — შრანაშორი (ვაუები) — სპა (როსტოვი)-სსოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)...

1961 წლის 15 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს ალკონომის ფედერაციის აღმასრულებელი სახელმწიფოს ალკონომი კლუბში (ლენინს ქ. 37) ჩატარდა მოხსენებები...

საქართველოს სპორტკავშირი და ფეხბურთის ფედერაცია იწყებდა აფხაზეთის ასსრ ფეხბურთის სექციის თავმჯდომარის აკაკი პორფილეს-ძე მიზინოვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

